საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 30 (6524) 30 ივლისი ხუთშაბათი 1992 წელი

დღეს, როცა ჩვენს ცხოვრებაში ფეხს იკიდებს საბაზრო ეკონომიკა, სამეურნეო ანგარიშიანი საწარმოები რთულ პირობებში აღმოჩნდნენ. საწარმოებთან ერთად ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა მმართველი აპარატი. 70 წლიანმა ცენტრალიზებულმა მართვამ შრომით კოლექტივს დაუკარგა აქტიური აზროვნების უნარი. წინათ არსებული მართვის მეთოდებით საწარმო უზრუნველყოფილი იყო... ავლის საქმეა.

არსებული სიმძლავრეებით კომბინატს შეუძლია სეზონზე მიიღოს და გადაამუშაოს 3500 ტონა თესლოვანი და 700 ტონა კურკოვანი ხილი. მიმდინარე სეზონში პირველად ქლიავის ჯემის გამოშვებას ვაპირებთ, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. გამოვუშვებთ ასევე ვაშლისა და ქლიავის ჩირს. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოში აშენდა უალკოჰოლო სასმელებად. რაც შეეხება თესლოვანი ხილის მიღებას, მინდა რაიონის მშრომელებმა იცოდნენ, რომ საწარმო არ მიიღებს დიდი ხნის ჩამოყრილ, დამპალ და გაფუჭებულ ხილს, მივიღებთ იმ ნედლეულს, რომელიც დააკმაყოფილებს სტანდარტებს, ლაპარაკია არა მოკრეფილ, არამედ ნაყარ ხილზე, რომელიც ძირითადად ხილის სპირტის გამოხდისათვის გამოიყენება. აღნიშნულ ნედლეულზე საწარმო 1 მანეთს

## სასურსათო კომბინატი საბაზრო ეკონომიკის [illegible]

ლორები. დაავადების ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა თითქმის არ აღირიცხება. ყველაზე ხშირად გვხვდება დასნებოვნების კონტაქტური გზა, იშვიათად ალიმენტარული, ჰაერმტვეროვანი, ტრანსმისული.

გადაცემის ფაქტორები—დაავადებული ცხოველის გამონაყოფები, ხორცი, რძე, რძის პროდუქტები, შინაგანი ორგანოები, ნახევარფაბრიკატები და ხორცისგან დამზადებული სხვა პროდუქტები, დასნებოვნება შეიძლება მოხდეს დაბინძურებული ნიადაგიდან, წყლიდან—იმ გარემოდან, სადაც იმყოფებოდა დაავადებული ცხოველი.

დაავადებას უმეტესწილად აქვს პროფესიული, შემთხვევითი საყოფაცხოვრებო ხასიათი.

განარჩევენ დაავადების 2 ფორმას—კანის და სეპტიურს. ეს უკანასკნელი უპირატესად მიმდინარეობს ფილტვის, ან ნაწლავების დაზიანებით. თუ რომელი ფორმა განვითარდება, [illegible] მიმდინარეობის შემ...

ლეილა გრიშას ას...

მერაბ ოთარის ძე ...

გილოცავთ ბედნიერებას. ...

შერმადინ სალინაძე,

ნუნუ მუშკუდიანს,

გილოცავთ ბედნიერებას, ...

ნათელა ჩაკვეტაძე.

ინგა ბახსოლიანს,

გილოცავთ ბედნიერებას. ...ვალი ოჯახი.

№ 2 საბავშვო ბაგა...

ფატი მეშველიანს,

გილოცავთ ბედნიერებას. ...

რუბენ, მერაბ ...

ნუგზარ მამარდაშვილ...

იური ბენდელიანები

ნანი მიქაძეს, ზაზა...

გილოცავთ ბედნიერებას. ...

ნოდარ კაპკაპიშვილი

მანანა ლეშკაშელს,

გილოცავთ ბედნიერებას. ...

ვანო გოლოძე ოჯახით

ფატი მეშველიანს, ...

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის თავის გამოხატულებას პროდუქციის თვითღირებულებაში ჰპოვებს, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ხალხის ისედაც ღარიბ ბიუჯეტს. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ვერ შევძლებთ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას სასურველ ფასებში, შეიძლება საბაზრო ეკონომიკის კანონებმა გაკოტრებამდეც მიგვიყვანოს.

ერთი სიტყვით, გონიერი მოქმედებაა საჭირო, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმატებებს მივაღწიოთ. მხედველობაში მაქვს კომერციული საქმიანობის შემდგომი სრულყოფა.

საწარმოში ახლა მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ტარდება, კომბინატი დღევანდელი ბაზით მზადაა უკვე სეზონისთვის, რაც შეეხება რეკონსტრუქციას, ეს უკვე მომ...

...ის [illegible] მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს აწერს მუშაკთა ნახევარზე მეტი, ასე რომ, თუკი საწარმოს პრივატიზაციის საკითხი დადგება, საწარმოს მფლობელი გახდება არა ერთი პიროვნება, არამედ შრომითი კოლექტივი. ჩემი პირადი აზრით თუკი მოხდება საწარმოს პრივატიზაცია, ერთიორად გაიზრდება შრომითი კოლექტივის წევრთა დაინტერესება.

ახლანდელი სეზონი ჩვენი წარმოებისათვის დაძაბულია. პირველი აგვისტოდან დავიწყებთ კურკოვანი ხილის მიღებას. ტყემლის შესასყიდი ფასი მოსახლეობიდან იქნება 1 მანეთი და 20 კაპიკი. მოკრეფილ ქლიავს 3 მანეთად მივიღებთ, მოკრეფილ კორკიმელს—2 მანეთად და 50 კაპიკად და 66 კაპიკს გადაიხდის. მიმდინარე სეზონზე რაიონში ხილის დამზადებაზე იმუშავებს სასურსათო კომბინატი, კოლმეურნეობები და დამზადების გაერთიანების ბაზაზე შექმნილი კონცერნი. საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე, ახლა მთავარია თითოეულმა ჩვენთაგანმა გამოვნახოთ საერთო ენა მოსახლეობასთან, გავაფორმოთ მათთან ხელშეკრულებები, ფასი გადავუხადოთ შეთანხმებით, ისე რომ, მომხმარებელიც კმაყოფილი დარჩეს და წარმოებამაც არ იზარალოს.

წლეულს საწარმოს ეყოლება 10 დამამზადებელი, რომლებიც მოსახლეობიდან აწარმოებენ ნედლეულის შესყიდვას და ხილი მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საწარმოს დამამზადებლების მიერ.

**ფ. მუშკუდიანი,**
**სასურსათო კომბინატის დირექტორი.**

# სოფელო, ჩემო სოფელო...

ალბათ, ყველას გვიფიქრია იმაზე, დღევანდელ პირობებში სად უკეთესია ცხოვრება—ქალაქსა თუ სოფელში. ზოგი ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ, დღევანდელმა ცხოვრებამ პრობლემები მარტო ქალაქს როდი გაუჩინა, ისინი სოფლის პირობებშიც წარმოიშვნენ და ზოგიერთი უფრო მწვავე ხასიათს ატარებს, ვიდრე ქალაქში არსებული.

საერთოდ, ქართული სოფლის პრობლემებზე შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ, მაგრამ შორეულ და მთიან რაიონებში ამ პრობლემათა რიცხვი ერთიორად იზრდება, ასეთი რაიონების რიგს მიეკუთვნება ჩვენი რაიონიც. როგორც მოგეხსენებათ, სოფელი არის კვების პროდუქტების წარმოების ძირითადი წყარო. მიუხედავად ამისა, ჩვენთან ამ მხრივაც კი არ არის ყველაფერი მოგვარებული.

ლეჩხუმში ოდითგანვე მოჰყავდათ პურის, სიმინდის თუ ყურძნის მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ჯიშების მოსავალი. მართალია, ალბათ, მაშინაც უჭირდა ჩვენს გლეხობას, მაგრამ ასე თუ ისე ოჯახის სარჩო-საბადებელს შოულობდა. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარადაა—ლეჩხუმში 50-იანი წლების ბოლოდან აღარ დათესილა ხორბალი, ვენახები, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობებსა თუ კოლმეურნეობებს ეკუთვნოდა, გაპარტახდა, ზოგიც კანონიერად თუ უკანონოდ მოსახლეობის ხელში აღმოჩნდა. დეფიციტი გახდა ვენახის შესაწამლი პრეპარატები. გაძნელდა მიწის დამუშავება. შემორჩენილი ტრაქტორების დიდი ნაწილი დგას, არ იშოვება საწვავი და სათადარიგო ნაწილები. ეს თავისთავად იწვევს მიწის დამუშავების საფასურის ზრდას. სასიმინდე ნაკვეთებზე ორჯერ-სამჯერ ნაკლები მოსავალი მოდის სასუქის გარეშე, ხოლო ამ უკანასკნელის ფასი შარშანდელთან შედარებით 20-ჯერ გაიზარდა. მალე ყოველივე ამას შესაძლებელია დაემატოს გადასახადი მიწათსარგებლობაზე მისი კერძო მფლობელობაში გადაცემის შემდეგ. აღებული მოსავლის დიდი ნაწილი ზემოთაღნიშნულ ხარჯებს მოხმარდება, დარჩენილი ნაწილით კი გლეხის საკუთრებაში არსებული პირუტყვის შენახვაც გაჭირდება. ტრანსპორტის უქონლობის, ანდა მისი გაძვირების გამო სოფელი მოწყვეტილი აღმოჩნდა ქალაქს, რის შედეგადაც თანდათან იზღუდება გლეხის მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზარზე გატანა და მისი რეალიზაცია, ხოლო ადგილზე ჩაბარებული ყურძნისა თუ ხილის ანაზღაურების მიღება წლობით ჭიანურდება და საერთოდ გარანტირებულიც არ არის. შეფერხებებია მოსახლეობის პენსიითა თუ ხელფასით უზრუნველყოფაშიც.

თუ გავითვალისწინებთ არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ მდგომარეობას და შედეგებს, რომლებიც ასეთ მდგომარეობას თან სდევს, კერძოდ: დანაშაულებრივი სამყაროს გააქტიურებას და მოსახლეობაში დაუცველობის გრძნობის ჩამოყალიბებას, ნათელი გახდება, რომ ჩვენს გლეხობას დღეს აუტანელ პირობებში უხდება ცხოვრება.

ზემოთჩამოთვლილ პრობლემათა ერთ ნაწილს ადვილად შეიძლება მოვუძებნოთ გამართლება და ამის მიზეზად ჩვენი გამრუდებული ისტორიის უკანასკნელი ათწლეულები დავასახელოთ, ხოლო მეორე ნაწილი კი დღევანდელი ცხოვრების მანკიერ თვისებებად მივიღოთ, დღეს, როცა არსებული მთავრობა ცდილობს მდგომარეობის სტაბილიზაციას, როცა დანიშნულია მორიგი არჩევნები. შეიძლებოდა უკეთესი მომავლის იმედი გვქონოდა, მაგრამ ჩვენი რაიონის მოსახლეობის ინტერესები აქაც ირღვევა, კერძოდ, საარჩევნო კანონში არ არის მითითებული პარლამენტში ჩვენი წარმომადგენლის არჩევა. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ეს ჩვენი რაიონისათვის ყოვლად მიუღებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ისედაც გალატაკებული და ჩამორჩენილი ჩვენი კუთხე ძნელად თუ დაადგება აღორძინების გზას.

**ზაზა მუშკუდიანი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.**

# მის ანგარიშზე 51 კილოგრამია

სულ მახსოვს ერთი კარგი მეურნის ნათქვამი: 3 წელი კაკალი რომ არ გადავაგდო სახნავში, ოჯახს არ მომიშივდება— იმედით, რწმენით ვივსები, რომ თითო-ოროლა არ გვყავნან ასეთი მშრომელები, რომ შრომის სიყვარული და გონი არ ჩამკვდარა ქართულ სულში, პირიქით, ღვივდება, ცოცხლდება.

სიცოცხლით, სილამაზით, სანდომით სავსე ქალია ქვედაცაგერელი გულნაზი მდივანი, ქვედაცაგერის ბაგა-ბაღის აღსაზრდელთათვის თბილი და ალერსიანი დეიდა, კარგი დედა და მეზობელი. ოჯახიც კარგი აქვს, ნამუსიანი, მშრომელი, ღონიერი. გულნაზიმ აბრეშუმის ჭიის მოვლაც შეითვისა და ნაშრომითაც არაა უკმაყოფილო.

წელს ქმარ-შვილიც მოიხმარა, ჯაფას არ დაეძებდა, სულ შიშის ქვეშ იყო, დაავადებას წყალში არ ჩაეყარა ნაშრომი ძალისხმევამ გაჭრა და—51 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა პუნქტს.

51 კილოგრამი პარკის საფასური არაა ცოტა, აქით ვენახი, იქით ყანა, ბოსტანი, პირუტყვი და მართლაც რა გაუჭირდება ოჯახს, რა მოაკლდება. ოღონდაც საქართველოში მშვიდობა იყოს და კვლავ ერთიორად იშრომებს თავის ქმარშვილით ოჯახისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

**მ. ძნელაძე.**

# კაცი სოფელს დაუბრუნდა

უჭირს ჩვენს საყვარელ მამულს—ცა-ფიროუზ, ხმელეთ-ზურმუხტ საქართველოს, უჭირს ეკონომიურად.. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართველი ხალხი გამოვიდეს ამ გასაჭირიდან.

საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებაში თავისი სიტყვა უნდა თქვას სოფელმა, მაგრამ ბევრი სოფელი დაცარიელებულია, გამოკეტილია ეზოსა და სახლის კარები, ბევრგან მარტო მოხუცების ამარაა მიტოვებული ოჯახები.

მარტო ალვის მაგალითი კმარა იმისათვის თუ როგორ დაიცალა სოფლები. ალვში 260 კომლი იყო 800 მცხოვრებით, დღეისათვის 190 კომლია 427 მცხოვრებით, ამჟამად 15 გამოკეტილი ოჯახია, რომლის ჭიშკარს და სახლს ბოქლომი ადევს და წელიწადში ხანდახან თუ გაიღება, განახევრდა სოფელი.

საბედნიეროდ ზოგმა ამ გასაჭირის ჟამს იბრუნა პირი სოფლისკენ. ალვში დაბადებული და აღზრდილი ენთაზ ბაგრატის ძე ჩხეიძე 23 წელია თბილისში ცხოვრობს, ჰყავს პედაგოგი მეუღლე და ორი ვაჟი, თვითონ ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. შარშან პენსია დაინიშნა, მასწავლებლობას თავი დაანება, სოფელს მოაშურა, მამა-პაპისეულ სახლში დაბრუნდა, სადაც დედა ცხოვრობდა.

შარშანვე იჯარით გაიპიროვნა ერთი ჰექტარი სასიმინდე ნაკვეთი, შეიძინა ულლად ხარები, ყავს ძროხა და 8 დეკეული. სანიმუშოდ მოუარა გაპიროვნებულ ნაკვეთს და საკარმიდამო მეურნეობას, მოსავალიც კარგი მიიღო.

წელსაც ბეჯითად მუშაობს. ტრიალებს საკარმიდამო და საიჯარო ნაკვეთში, ქმნის დოვლათს და ცხოვრებით კმაყოფილია.

ენთაზ ჩხეიძის მოქმედება მაგალითი უნდა იყოს სოფლიდან წასული ყველა ქალაქელისათვის, უნდა დაუბრუნდნენ მიტოვებულ ფუძე-კარს, თავიანთი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის ეკონომიკის გაძლიერებაში.

**შ. ყურაშვილი.**

გაზეთ „ლეჩხუმის" კორესპონდენტი.

სოფელი ალვი.

# ყოჩაღ ბიჭებო ... და გოგოებო!

(რეცენზიის მაგიერ)

ერთ კვირაში ცაგერის სახალხო თეატრმა ორი პრემიერით გაგვახარა. ზაზა გზობავამ დადგა „საბრალდებო დასკვნა" ზაზა ყურაშვილმა კი ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება". ორივე სპექტაკლი გამოირჩეოდა კომპაქტურობითა და მსახიობთა საკმაოდ კარგი თამაშით. თვით ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდა რეჟისორებმა ეს პიესები აირჩიეს დასადგმელად, ბევრს მეტყველებს მათ მოქალაქეობრივ პოზიციაზე.

ორივე სპექტაკლში შეიქმნა საინტერესო სახეები, რომლებიც უთუოდ დიდხანს ემახსოვრება მაყურებელს. „საბრალდებო დასკვნაში" საუკეთესო იყო ტიგრან გულოიანი (ზ. ყურაშვილი), გოგოლი (ს. ბენდელიანი), ზაზა ნაკაშიძე (ზ. გზობავა). ცალკე აღნიშვნის ღირსია ჭეიშვილის როლის შემსრულებლის (ა. ბენდელიანის) თამაში. საერთოდ, ტიპაჟი—კარგადაა შერჩეული, ამ როლის შემსრულებელი კი საოცრად ზუსტად მოუნახავს რეჟისორს. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ამ მსახიობის როლი. სხვათაშორის ალბერტ ბენდელიანი კარგად თამაშობს მეორე სპექტაკლშიც—„სანამ ურემი გადაბრუნდება", მისი კარპე ძალზე კოლორიტული სახეა, რასაც შესრულების ირონიული მანერაც განაპირობებს.

დავუბრუნდეთ „საბრალდებო დასკვნას". აღარ შევეხები რეჟისორისა და მსახიობთა თამაშის დონეს, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ თუმცა ზოგ სცენას და როლს დახვეწა არ აწყენდა, საერთო ჯამში იმდენად კარგი ნამუშევარი იყო, რომ ზოგჯერ თავი არა მოყვარულთა, არამედ პროფესიულ თეატრში გეგონებოდა. სპექტაკლში დაკავებული არიან მსახიობები ნინო სილაგაძე, დარეჯან სალინაძე, რუბენ გოგიძე, გიორგი შკუბული, თენგიზ, ვილგემ კოპალიანი, ბორის სვანიძე, გურამ ლიპარტელიანი, შოთა ახვლედიანი, გრიგოლ ბენდელიანი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის რეჟისორს.

ზაზა ყურაშვილის სპექტაკლში შთამბეჭდავია რუბენ გოგიძის მიერ შესრულებული აგაბოს როლი, მთავარი გმირისა, რომელსაც ფაქტიურად მიყავს პიესა. დასამახსოვრებელია დარეჯან სალინაძის (ლანდა) და ნინო სილაგაძის (კესარია) მიერ შესრულებული როლები. ძველი, გამოცდილი მსახიობების გვერდით ამ სპექტაკლში შედარებით ახალბედებიც მონაწილეობდნენ. საერთო ანსამბლი ასე გამოიყურება: დიტო (ზ. გზობავა), დურმიშხანი (ს. ბენდელიანი), იოველი (ვ. კოპალიანი), ბუხუტი (გ. შკუბულიანი), გოგოლა (ვალიდა ბენდელიანი), ჟუჟუნა (გულნაზი გოლეთიანი), ცაგო (ხათუნა შკუბულიანი).

ორივე სპექტაკლი მხატვრულად ზურაბ ხვისტანმა გააფორმა.

ამ პატარა წერილს არა აქვს სახალხო თეატრის დადგმების რეცენზირების პრეტენზია—მე მხოლოდ მსურდა მადლობა მეთქვა რეჟისორებისა და მსახიობებისათვის ორი შესანიშნავი საღამოსათვის და კიდევ ერთიც უკვე მრავალგზის აღნიშნული: თუმცა დარბაზს მაყურებელი არ აკლდა, სრული ანშლაგი იყო, შეიმჩნეოდა მოზარდების, პატარების სიჭარბე. იქნებ მათზეც ეფიქრათ ჩვენს რეჟისორებს და საბავშვო პიესები შეეთავაზებინათ, ვფიქრობ, არცთუ ურიგო საქმე იქნებოდა!

**ია ხმელიძე.**

# გაჭიანურებული მშენებლობა და ჭაობში მოსახვედრად განწირული თავკომბალები

უკვე კარგახანია სოფელ ტვიშის მოსახლეობა საკმაოდ დაბინძურებულ წყალს სვამს. რაც თავი მახსოვს, სულ წუწუნებენ აქაურები, მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება.

სასმელი წყლის ძველი ავზი სოფლის თავშია. გადავწყვიტე, პირადად ვყოფილიყავი და დამეთვალიერებინა. საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არავის დავუჯერებდი. იქ მიმავალს გზაში მეზობელი შემომხვდა და რომ გაიგო ჩემი მარშრუტი, მირჩია—არ წახვიდე, შვილო, თორემ მერე სულ ვეღარ დალევ მაგ წყალსო. რაც მე იქ ვიხილე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასმელი წყლის ავზი სახელდახელოდ შეკავებულ და ბავშვების საჭყუმპალაოდ გამზადებულ გუბეს გავს. წყალი მთლიანად მწვანეა წყლის მცენარეებისაგან. რა ვიცი, რა აღარ დაცურავს შიგ. ტყის თხილებს საგულდაგულოდ გადაუხურავთ თავიანთი ტოტებით. ალბათ, იფიქრეს, ჩვენ მაინც მივხედავთო ამ საცოდავს. ვილაცას კარგა მოზრდილი ჯოხებიც ჩაუყრია. „ავზს" ფსკერი კი აქვს ბეტონის, მაგრამ კიდეები მიწისაა. მასში ჩაწყობილი მილები დაჟანგული და წყალმცენარეებით დაფარულია. თავკომბალები საგულდაგულოდ არიდებენ თავს მილებს, რომ წყლის ბრუნვამ არ ჩაითრიოს, თორემ შეიძლება ვილაცის ჭიქაში აღმოჩნდეს და ვინ იცის, მერე რა მოელის. ავზი დაუცველია და ნებისმიერს შეუძლია იქ მისვლა, რაც სოფლის მოსახლეობისათვის საშიშროებას წარმოადგენს. ორფეხმა კი არა მოწადინებულმა ოთხფეხმაც შეიძლება გაიგრილოს ფეხი ცივ წყალში.

სუნთქვაშეკრული გამოვეცალე იქაურობას, როგორც მითხრეს, ეს წყალი ღვინის ქარხნისთვის ყოფილა მხოლოდ განკუთვნილი, მაგრამ შემდეგ სოფელსაც გაუყვანია სასმელად. იქედან მოყოლებული ტექნიკურ წყალს სვამს ხალხი.

გადავწყვიტე, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმისთვის ბატონ ჯ. ყვირილიანისთვის მიმემართა თურმე მის კომპეტენციაში შედის მხოლოდ პერიოდულად შეამოწმოს სისუფთავის მხრივ არსებული მდგომარეობა, რაშიც დაეხმარება სოფლის საკრებულოს გამგეობა. ხოლო რაც შეეხება რემონტს, სანტექნიკური პირობების გაუმჯობესებას, სანიტარულ-გამაჯანსაღებელ სამუშაოებს, უნდა ატარებდეს სოფლის მოსახლეობა ადგილობრივი გამგეობის ხელმძღვანელობით.

მშენებარე წყალსადენის ახალი ავზებიც მოვინახულე, მაგრამ საიმედო იქაც ვერაფერი ვნახე. ჯერ კიდევ 1988 წელს დაწყებული მშენებლობა მოუმთავრებელია. ავზები კი სანახევროდაა დაზიანებული, როგორც იქ მცხოვრებლებმა მითხრეს, თითოეული ავზი 250 ტონის ტევადობისაა. ფიქრობენ, რომ ავზში წყალი გაჟონავს. ასეთ შემთხვევაში იქმნება საშიშროება, რომ სოფელი დაიმეწყრება. ავზში წყალი არაა, მაგრამ სამაგიეროდ მინის ნამსხვრევებით, ჯოხებით და ათასი სხვა წვრილმანით უკვე მოუსწრიათ „გავსება".

მშენებლობა შეჩერებულია. ცაგერის სამეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბატონმა სოსო თვარაძემ ამიხსნა, რომ მშენებლობა უნდა ჩაბარებულიყო 1990 წელს, მაგრამ შეჩერდა საჭირო თანხების უქონლობის გამო, როგორც კი თანხებს გამოყოფენ მშენებლობას განვაახლებთ, ობიექტი წლის ბოლოს ჩაბარდებათ.

არსებობს მოსაზრება, რომ სოფელ ტვიშს, როგორც მეწყრის ზონას, შესაძლებელია უსასყიდლოდ აუშენონ ახალი ავზები და ხალხიც ამოისუნთქავს, მაგრამ სოფელმაც უნდა შეუწყოს ხელი ძველი ავზების დასუფთავებასაც და ახალი ავზების მშენებლობასაც. ნუ გააჩანაგებთ, ხალხო, ისედაც გაღარიბებულ სახელმწიფო ქონებას, თორემ თქვენი ავკაცობა უკანვე მოგიბრუნდებათ.

და ბოლოს, ვთხოვ ყველა იმ პირს, ვისაც შეუძლია თავისი სიტყვა თქვას ამ გაჭიანურებული საქმის წინ წაწევაში—დაეხმარეთ სოფელს!

**ნათია ჩიქოვანი.**

---

ოქროსხელება კაცი იყავი. გიყვარდა ადამიანები. სიკეთეს თესავდი ყველგან. გული გვწყდება როცა სიცოცხლე გიხდოდა, მაცხოვრებთ ისე, როგორც შენ გსურდა.

**მეუღლე ნინა შვილებით და შვილიშვილებით.**

---

დალაში, დათო, ჯონი, ზაზა დავითულიანები, ენგელი აფრიდონიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს **აკაკი ლიპარტელიანის** გარდაცვალების გამო.

---

ალექსანდრე გოლეთიანი, კარლო ცვარიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი სვანიძეს მეუღლის **ვახტანგ სვანიძის** გარდაცვალების გამო.

---

გოგი ასათიანი, დანიელ ყურაშვილი, გიური, ხუტუ ბერუჩაშვილები, ტრისტან სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს **ვახტანგ გიორგის ძე სვანიძის** გარდაცვალების გამო.

---

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 1946 წლის კურსდამთავრე...

---

დედა ნანი ბანძელაძე, ბებიები ელპიტო, ჟუჟუნა, სოხია, თამარ თოთაძეები, ვალენტი ბანძელაძე, მამიდები ლოლა, გოგუცა გუგავები, ბიძები მიხეილ ბერიძე, ბენია მოწონელიძე, მურმან, იური ბანძელაძეები, მამიდაშვილები ლევან, იური ბერიძეები, მარინე, მამუკა მოწონელიძეები, ყეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ზვიად გიორგის ძე ...** დაკრძალვა 19 ივლისს, კვირას, სოფ. უსახელოში.

---

დები ნანი, ნუნუ, ნანული, ძმები ზაური, სერგო, როლანდ ოჯახებით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **რამინ ზაქროს ძე ვაწაძე.**

---

# ჩვენ კი აღვადგენთ, მაგრამ...

რაიონული გაზეთის რედაქციის წინ, ქალაქის მოედნის განაპირას, სადაც უამრავი სტუმარი და მასპინძელი იყრის თავს, მგზავრი ტრანსპორტს ელოდება—სასმელი წყლის სოკო—შადრევანი იყო, ცივი, გემრიელი წყლით გულს იგრილებდა ადამიანი.

ერთ ჩვეულებრივ დილას სოკო წაქცეული დაგვიხვდა, გადამტვრეული. იქვე ათწლეულობით ნაზარდი ნაძვი კი შუამდე გაუტყავებიათ. კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა აღადგინეს შადრევანი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მოტეხეს. ისევ აღვადგინეთ, ბოროტმა ხელმა კი მთლიანად მოანგრია იგი.

ამ უმსგავსობის შემყურეს ერთი რამ გამახსენდა: შვეიცარიაში თურმე უცხოელი ტურისტები მიდიოდნენ გზად ტყის ზონაში. ერთ ადგილას შეჩერებულან, მანქანიდან გადმოსულან, სამგზავრო ნიჩბებით გაუწმენდიათ გზა ჩამოყრილი ქვა-ღორღისაგან, პაწია ნებიერა ნაკადულისათვის გზა მიუციათ და გაუგრძელებიათ მგზავრობა..

ჩვენ კი.. გვაპატიოს უმრავლესობამ, მაგრამ რა დონის ველურები გვყოლია?

ახლა გვინდა აღვადგინოთ ონკანი, მაგრამ რა საძირკველში ჩავადუღაბოთ, ყინმორეულმა „ცხოველმა" ისევ რომ ვერ მოაძროს?

# კვლავ ციმბირის წყლულზე

როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გახდა ცნობილი, საქართველოს რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონში, კერძოდ, წყალტუბოს ზონაში აღრიცხული იქნა ციმბირის წყლულის შემთხვევები. რადგანაც აღნიშნული ზონა მიმდებარეა ცაგერის რაიონის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარკვეული ინფორმირების გაკეთება ამ დაავადების შესახებ ჩვენს მოსახლეობაში.

ციმბირის წყლული მწვავე ბიონოზური ინფექციაა, რომელიც მიმდინარეობს ლოკალური (კანის) და გენერალიზებული (სეპტიური) ფორმებით, მასთან მკვეთრად არის გამოხატული ინტოქსიკაციის სინდრომი.

გამომწვევი არის ჯილეხის ჩხირი, რომელიც 50 გრადუს ტემპერატურაზე იღუპება 30 წუთის განმავლობაში, 75-80 გრადუს ტემპერატურაზე 1 წუთის, დაბალი ტემპერატურის მიმართ საკმაოდ გამძლეა. არახელსაყრელ პირობებში ის ინკაფსულირდება, იკეთებს სპორას და ამ ფორმით ინახება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, სპორა მდგრადია სადეზინფექციო ხსნარების მიმართ. ხორცის დამარილება საშიშროებას არ ამცირებს.

დაავადების წყარო არის დაავადებული შინაური ცხოველები—მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხენები, ცხვრები, თხები, ღორები. დაავადების ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა თითქმის არ აღირიცხება. ყველაზე ხშირად გვხვდება დასნებოვნების კონტაქტური გზა, იშვიათად ალიმენტარული, ჰაერმტვეროვანი, ტრანსმისული.

გადაცემის ფაქტორები—დაავადებული ცხოველის გამონაყოფები, ხორცი, რძე, რძის პროდუქტები, შინაგანი ორგანოები, ნახევარფაბრიკატები და ხორცისგან დამზადებული სხვა პროდუქტები, დასნებოვნება შეიძლება მოხდეს დაბინძურებული ნიადაგიდან, წყლიდან—იმ გარემოდან, სადაც იმყოფებოდა დაავადებული ცხოველი.

დაავადებას უმეტესწილად აქვს პროფესიული, შემთხვევითი საყოფაცხოვრებო ხასიათი.

განარჩევენ დაავადების 2 ფორმას—კანის და სეპტიურს. ეს უკანასკნელი უპირატესად მიმდინარეობს ფილტვის, ან ნაწლავების დაზიანებით. თუ რომელი ფორმა განვითარდება, დამოკიდებულია მიკრობის შეჭრის გზაზე. პროგნოზი კანის ფორმისა 80 პროცენტში კეთილსაიმედოა, ხოლო სხვა ფორმებისას ძნელი და ინტენსიური მკურნალობის დროსაც კი მეტად სერიოზული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაავადების გადაცემის არსებობს რამდენიმე გზა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაავადების თავიდან აცილება მაინც შეიძლება, თუ გატარდება წინასწარი ვეტსანიტარული და სანიტარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები, მათ შორის ცხოველთა დაკვლის წინ ვეტსანიტარული ექსპერტიზა, ცხოველთა დაკვლა მხოლოდ სასაკლაო ობიექტებში, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სანიტარული და ვეტსანიტარული კვანძებით, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რაიონში (ქალაქს) ცხოველთა სასაკლაო (ბოინი) არ გააჩნია, რის გამო ზოონოზური დაავადებების გავრცელებისათვის იქმნება ხელსაყრელი პირობები. რისთვისაც ვთხოვთ ზემდგომ ორგანოებს აღძრან საკითხი სასაკლაოს აშენებისათვის და მოსთხოვონ მოწოდებულ ორგანიზაციებს—რაიკოოპერატივის გამგეობას, საზკვების დირექციას, რომ იზრუნონ ცხოველთა სასაკლაოს მოსაწყობად, რაც აუცილებელი და ერთ-ერთი პირობაა ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკისთვის.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მასშტაბით გახშირდა ტურისტულ და ცენტრალურ საავტომობილო ტრასებზე შეუმოწმებელი ხორცის ანტისანიტარულ პირობებში გაყიდვის შემთხვევები. ასეთი ვაჭრობა ჩვენს რაიონში სასტიკად უნდა აიკრძალოს, ვაჭრობა ჩვენს რაიონში ხომ ზოონოზური ინფექციები (ციმბირის წყლული, ბრუცელოზი, თურქული) და სხვა ნაწლავური ინფექციები (სალმონელოზი, დიზენტერია, მუცლის ტიფები).

ამ მიზნით შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებამ, ვეტსამსახურმა, რაისანეპიდსადგურმა უნდა გაატარონ ღონისძიება, რათა აღკვეთონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე შეუმოწმებელი ხორცის გაყიდვა და ცხოველების საკარდაკარო დაკვლა, ბაზრის ვეტერინალურმა სამსახურმა უნდა გააძლიეროს მუშაობა, რათა არ დაუშვან ბაზრის ტერიტორიაზე არასრულფასოვანი, შეუმოწმებელი ხორცის შემოზიდვა.

**იზა კოპალიანი,**
ექიმი—ეპიდემიოლოგი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

## შეღავათიან ფასებში

მრავალდარგოვანი ფირმა „ეგზოტიკა" იწვევს თურქეთში წასვლის მსურველებს შემდეგ ქალაქებში: ფაცა—სამსუნი, ტრაპიზონი, სტამბული, ანკარა. იწვევს ასევე სირიაში წასვლის მსურველებს.

ფირმა აწარმოებს საზღვარგარეთის პასპორტების გაკეთებას და დამოწმებასაც.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „ეგზოტიკის" ცაგერის ფილიალს, შემდეგ მისამართზე: ქ. ცაგერი, 9 აპრილის ქ. № 1. ტელეფონი 26-61. მიღება იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა.

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

კურორტ „ახალჭალის" სეზონი იწყება 5 აგვისტოდან. ერთი ოთახის ღირებულება (ორსაწოლიანი) 21 დღით შეადგენს 600 მანეთს.

კურორტ „ახალჭალის" ადმინისტრაცია.

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**მარიტა ჩაკვეტაძეს, თამაზი ბენდელიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**რიტა, ნონა, ნატო.**

**ლეილა გრიშას ასულ ჩაკვეტაძეს**
**მერაბ ოთარის ძე სალინაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**შერმადინ სალინაძე, თემურ კოპალიანი ოჯახებით.**

**ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას, იმრავლეთ და გაიხარეთ.
**ნათელა ჩაკვეტაძე.**

**ინგა ბახსოლიანს, გოჩა მახვილაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემლიერი და შვილმრავალი ოჯახი.
**№ 2 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.**

**ფატი მეშველიანს, გორის კოპალიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
**რუბენ, მერაბ დავითულიანები, გრიშა ახვლედიანი, ნუგზარ მამარდაშვილი, უჩა ლიპარტელიანი, თამაზ, იური ბენდელიანები ოჯახებით.**

**ნანი მიქაძეს, ზაზა კაჭკაჭიშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**ნოდარ კაჭკაჭიშვილი ოჯახით.**

**მანანა ლეშკაშელს, მირიან ფრუიძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ წინსვლას ცხოვრებაში.
**ვანო გოლოძე ოჯახით.**

**ფატი მეშველიანს, გორის კოპალიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**შორენა ყვირილიანი, დარეჯან ალავიძე.**

**ნონა ჩაკვეტაძეს, სპარტაკ გვასალიას**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ ჰრავალჟამიერ.
**სოფიკო, სალომე სილაგაძეები.**

**ფატი მეშველიანს, გორის კოპალიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**მაიზერი, ნუნუ, რიტა, ნონა, შარინე.**

**ლეილა ჩაკვეტაძეს, მერაბ სალინაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ლალი ხვადაგიანი, ირინე, ლუარა, როსტომ გასვიანები.**

**ფატი მეშველიანს, გორის კოპალიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. მაღალი ღმერთი გფარავდეთ.
**ალიოშა თუთისანი ოჯახით.**

**ნინო თუთისანს, კახა მუშკუდიანს**
გილოცავთ ქორწინებას, მტკიცე ყოფილიყოს თქვენი უღელი ამრავლეთ ერი.
**ფოთოლა, ამირან, ივერი, ომარ ფუტკარაძეები.**

## გილოცავთ

**ზამელი, ზაურ გუგუხიძეებს**
გილოცავთ ჟოზეფინას და ზაზას ბედნიერებას.
**დოდო, ნატო, ხათუნა, მზია, რეზო და თამაზი.**

**ლამზირა, შალვა კვირკაშვილებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ სასახელო ვაჟკაცი.
**ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები ოჯახებით.**

**ნინო, თენგიზ კოპალიანებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის საამაყო შვილი.
**ნუნუ, შიო ომანაძეები.**

**ლამზირა, შალვა კვირკაშვილებს**
გილოცავთ შვილიშვილის, პატარა გიორგის შეძენას.
**თათია ქარსელაძე.**

**ელისო, ზაქრო მეგრელებს**
**ლამზირა, შალვა კვირკაშვილებს**
გილოცავთ პირველი შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გფარავდეთ ღმერთი.
**ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.**

**როზა, გონდო, ვენერა, კაკო ჩხეტიანებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.
**ბორის, მამუკა ჩხეტიანები.**

**ნინო, ნუგზარ ბახსოლიანებს**
**ლელა, დათო გიორგელიძეებს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ანზორ კვირკაშვილი, გურგენ ბახსოლიანი ოჯახებით.**

**ნინო, ნუგზარ ბახსოლიანებს**
გილოცავთ ნანატრი ქალიშვილის შეძენას. იმრავლეთ, იბედნიერეთ.
**ნინო კოპალიანი, ლაშა ბურჯალიანი, გოგი გოლეთიანი ოჯახებით.**

**თინიკო, მურთაზ ფრუიძეებს**
გილოცავთ შვილის, მირიანის ბედნიერებას.
**გურამ დავითულიანი ოჯახით.**

**გოგუცა, შოთა ჩაკვეტაძეებს**
გილოცავთ ქეთინოს ბედნიერებას. ფუძემლიერი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.
**მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.**

**ნინო, ნუგზარ, ჟენია, ჟიჟიკო, მაია ბახსოლიანებს**
გილოცავთ შვილის, შვილიშვილის და ძმისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.
**ციცო სადილიანი, ლია გუგავა, ინგა თოთაძე, მედიკო ნემსაძე, ლია ხვადაგიანი, აზა ირემაძე, ლია მუშკუდიანი, ჟუჟუნა მეშველიანი, ლელა სვანიძე.**

**ნანი, ჟორა, ალუდა თუთისანებს**
გილოცავთ ნინოს ბედნიერებას, სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.
**ფატიმა ჩხეტიანი.**

# ხსოვნა

## როინ (მანცქურა) ივანეს ძე გოლეთიანი

აუტანლად მენატრები შვილო, შენმა დარდმა ლოგინს მიმაჯაჭვა, აღარაფერი გვახარებს მე და შენს სახლს, დარჩენილს შენი მოლანდების ამარა.

დღე-ღამის ქიდილში რამდენ რამეს გემუსაიფები, ველარ ვგრძნობ, როდის მოდის განთიადი, თუ ჩამთვლიმა, სიზმარში გხედავ, ისევ ისეთს, მხარბეჭიანს, დიდფეხებიანს, ნეტავ რა მოგერია შვილო, რამ წამართვა შენი თავი, ისეთი ვაჟკაცი მყავდი. სარეცელს მიჯაჭვული შევყურებ ღიად დარჩენილ კარებს, საიდანაც ყოველთვის ცივი, მსუსხავი ჰაერი შემოდის, სითბო მენატრება შვილო, შენი სითბო, რომელიც ჰაერთან ერთად მოგქონდა.

ყველას სიყვარული შეგეძლო, ყველას გვერდით ედექი ჭირსა და ლხინში, შენი სამეგობროს და სანათესაოს გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო, ხათრი თუ გაჩერებს მიწაში, ასე მგონია, ჩემო ხათრიანო შვილო.

სიზმარში მაინც მოდი მალმალე, გემუდარები, ნუ გაიხურავ კიშკარს, ნუ წახვალ, ნუ დამიტოვებ სიცივეს და ჩანავლებულ ბუხარს, ცრემლი გამიშრა, აღარ მოდის. ფიქრში წასულს და სხვა დროებაში გადაკარგულს მომეფერე, მაგრძნობინე, რომ შენ ისევ ხარ..

შენი დედა.

## შოთა ვარლამის ძე კოპალიანი

11 წელი გასულა იმ ავბედითი დღიდან, 11 წელი ცრემლსა და ტკბილ-მწარე მოგონებებში, ნატვრაში, სიზმრად მოლანდებაში.

სიცოცხლეს შეტრფოდი, შვილებზე, შვილიშვილებზე, ოჯახზე ფიქრით მიაბიჯებდი გზად და გააზრებაც ვერ მოასწარ, ავტოავარიის მსხვერპლი გახდი.

გვიჭირდა და გვიჭირს უშენოდ, ძნელია ჰკვიანი, ახალგაზრდა, თბილი და ძვირფასი მეუღლისა და მამის დაკარგვა, თავგზააბნეულები დავრჩით, ასე გვეგონა უშენოდ ვერ გავუძლვებოდით ოჯახს, მტერ-მოყვარეს, მაგრამ ისევ და ისევ შენდამი უდიდესმა პატივისცემამ, შენი ხსოვნისა და სახელისადმი მოწიწებამ შეგვაძლებინა ყოველივე.

სიცოცხლე გრძელდება შენს კერაზე, მამა! შენს შვილებს, შვილიშვილებს, შენი სახელის უკვდავსაყოფად შენს შვილიშვილს შოთიკოს სიცოცხლე, სიხარული, ბედნიერება შემოაქვს ოჯახში, თანდათან ვიძენთ ენერგიას, ისე ვიქცევით, ვშრომობთ, შენ რომ გიყვარდა, შენს კაცურ კაცობას რომ შეეფერება.

ცხოვრებას თავისი წესი და კანონები აქვს. ჩვენც ვერ გავექცევით. მხოლოდ ერთს შეგპირდებით: პატივი ვცეთ შენს სახელსა და ხსოვნას, არ მოგაკლოთ წმინდა ცრემლი, სანთლები და ყვავილები.

მეუღლე, შვილები, რძალი, სიძე და შვილიშვილები.

---

შვილები ანზორი, ლია, მათიკო, რძალი ნათელა ლომთაძე, დები ნადია, მარო, სონა, შვილიშვილები მაია, იმედა, რომეო, დისშვილები, ძმისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანეტა ივანეს ასული მეშველიანი-გუგავა**

დაკრძალვა 1 აგვისტოს, შაბათს, ქ. ცაგერში.

---

მეუღლე ლილი ჩარკვიანი, შვილები ზაალი, ნუგზარ ლომთაძეები, ცოლისძმა გურამი, ბიძა ლეო ჩარკვიანები ოჯახებით იუწყებიან

**ბუდუ სერგოს ძე ლომთაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 2 აგვისტოს, კვირას, გამოსვენება ჰავჰავაძის ქ. №6.

---

აბესალომ ცხვედიანი, ქორა ხვისტანი, ვალიკო გოლეთიანი, გივი ხმელიძე, რომან ყურაშვილი, ჯემალ ახვლედიანი, ბიჭიკო მურცხვალაძე, მურთაზ ბერიძე, მიშა უჩაძე, იულია ქომეთიანი, თინა ბობოხიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ კაპიტო, ეთერ ჩიქოვანებს ძმისა და მაზლის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

დები თინა, ქუქუნა, რძალი თამარი, ძმისშვილები მზია, მარინე, მაია, დისშვილები ჯონი, ბორისი, სიძეები ოთარ, ჯეირან ჩაკვეტაძეები, გელა მუშკუდიანი, გია ასათიანი, დისშვილიშვილები, ძმისშვილიშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა ვლადიმერის ასული ბურჯალიანი.**

დაკრძალვა 2 აგვისტოს, კვირას, სოფ. ორბელში.

---

დაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამაზ ჩიქოვანს მამის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

უსახელოს არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები შორენა შეკიშვილი, მაია ყურაშვილი, რადმილა, გელა გორგასლიძეები, ხვიჩა ასათიანი, ავთო ხეცურიანი თანაუგრძნობენ ნანი გუგავას შვილის

**ზვიად გიორგის ძე გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ძმისშვილები თინა, ლამარა, დალი, მაგული, დავითი, ოთარი, ჯუმბერი, რომანი, ტარზანი, გოჩა კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან

**ოლღა კოპალიანი-ფირცხალავას**

გარდაცვალებას.

---

შურმან ჯიბძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ოლღა ფირცხალავა**

---

ლამარა, დათო კაჭკაჭაშვილები, ვიტალი მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლალი, ზაურ ყურაშვილებს დისშვილის

**გაგას**

გარდაცვალების გამო.

---

ენერგოგასაღების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაურ ახვლედიანს ბიძის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ მდივანი, ილარიონ გელოვანი, შოთა გოგიცე ოჯახებით თანაუგრძნობენ გიგლა ხვადაგიანის ოჯახს

**ოლღა ფირცხალავას**

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ კაპიტო ჩიქოვანსა და ინგული ახვლედიანს ძმისა და ბიძის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ, ბუჭუ გაბისონიები, ბიჭიკო ფოჩხიძე, ომარ სილაგაძე, თემურ ბენდელიანი, ბადრი სვანიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

შალვა, ანგი მანაგაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ თამაზ, ნანი ჩიქოვანებს მამისა და მამამთილის

**ვალერიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ, მურთაზ კოპალიანები, გრიშა ჩიქოვანი, ლალიკო მინდიაძე, პიმენ მურცხვალაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**კაკო იაკინთეს ძე ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლუხვანოს საექიმო უბნის, ზედა ლუხვანოსა და ზარაგულის საფერშლო პუნქტების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია ჩიქოვანს ბიძის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლუხვანოს საკრებულოს, საბავშვო ბაღის, კლუბ-ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია ჩიქოვანს ბიძის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ვალერიან ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლვირიშის საექიმო ამბულატორიისა და საფერშლო-საბებიო პუნქტების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ახვლედიანს მამის

**ვალერიან იასონის ძე ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალბერტ, ქორა ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ანეტა გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

აგრომრეწვბანკის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოჯახს

**ზვიად გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ თვარაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნანი გუგავას შვილის

**ზვიადის**

გარდაცვალების გამო.

---

შიო ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჩიქოვანების ოჯახს

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო ყურაშვილი, სულიკო კუხალაშვილი, გურამ თუთისანი თანაუგრძნობენ ლალი ჯიქიას

**გაგას**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ, რამაზ კოპალიანები, ჯონი ხალიანი, გიგლა, რომან ლეთოდიანები, სოზარ კვირკაშვილი, მირზა ლიპარტელიანი, შამილ ლარცულიანი, ზაზა, იაგო ყურაშვილები, ვაჟა, ვახტანგ სალინაძეები, თამაზ ჩაკვეტაძე, თამაზ არდანიანი თანაუგრძნობენ ლევან ბერიძეს ბიძაშვილის

**ზვიად გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლევან ჩიქოვანს და ლელა ყურაშვილს ძმისა და მაზლის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

სპორტკომიტეტის, სპორტსკოლის, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულო, როინ სილაგაძეებს ბიძაშვილის

**რამინის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალიკო კოპალიანი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

**უჩა არჯევანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვარლამ მურცხვალაძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

**უჩა არჯევანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნუგზარ, რამაზ, კუკური, ავთო, დათო, თენგიზ, ნიკო, სერგო ჩიქოვანები, ალექსანდრე ბერიძე, პოლიაქტოზ ჩხეტიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თამაზ ჩიქოვანის ოჯახს

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვიტალი, ზაურ ლაზარიანები, მურთაზ, ბადრი ახვლედიანები შაქრო ცხოვრებაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ანეტა გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

რომან თვარაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნანი გუგავას შვილის

**ზვიადის**

გარდაცვალების გამო.

---

ლუხვანოს საკრებულოს, საბავშვო ბაღის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, საექიმო უბნის, ზედა ლუხვანოსა და ზარაგულის საფერშლო პუნქტების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლიდა ბობოხიძეს სიძის

**უჩა არჯევანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

სასურსათო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ თამაზ, ნანი ჩიქოვანებს, გივი ახვლედიანს, დათო ჩიქოვანს მამის, მამამთილისა და ბიძის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნუგზარ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ, კაპიტო ჩიქოვანების ოჯახებს

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**ვალერიან იასონის ძე ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

საფინანსო განყოფილებისა და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი, თამაზ ჩიქოვანებს მამამთილისა და მამის

**ვალერიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცო ბურჯანაძეს დედამთილის

**თამარ ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები თანაუგრძნობენ პაპუკა ჩიქოვანს ბაბუის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

გენო გურგუჩიანი ოჯახით თანაუგრძნობს თემურ არჯევანიძის ოჯახს

**უჩა არჯევანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ტუკა, კახა ჩხეტიანები, ვალიკო გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლალი, ზაურ ყურაშვილებს

**გაგას**

გარდაცვალების გამო.

---

გელა ხვადაგიანი ოჯახით იუწყება

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალებას.

---

ბუჭუ ვაწაძე ოჯახით ღრმა წუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რამინ ვაწაძე.**

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, გივი ახვლედიანებს ბიძის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლევან, კაპიტო, თამაზ ჩიქოვანებს ძმისა და მამის

**ვალერიან ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ თალიკო ხაბულიანს ძმის

**მიხეილ ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ამირან, ომარ, ფაქიზო გოგიძეები, მარკო ბენდელიანი, პოლიაქტოზ ჩხეტიანი, ზურაბ ჭილვარია, თამაზ ფუტკარაძე, სოზარ კვირკაშვილი, ქორა ლეთოდიანი, დავით კოპალიანი, საშა ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მარო, გიგლა ხვადაგიანებს დედისა და სიდედრის

**ოლღა ფირცხალავას**

გარდაცვალების გამო.